ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 206 (13898) | შაბათი, 2 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

პირველი სექტემბრის სიხარული

კეთილი იყოს შენი გზა, სკოლავ!

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. გზა აიღო ახალმა მძლავრმა ლაშქრობამ ცოდნისათვის, მეცნიერების საფუძვლების დაუფლებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ საიდუმლოებათა ამოხსნისათვის.

გუშინ ერთი მილიონი ბავშვი შეუდგა მეცადინეობას ჩვენი რესპუბლიკის მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, უმაღლესი სასწავლებლების 26 ათასმა პირველკურსელმა სტუდენტმა და ტექნიკუმების მოსწავლემ მოისმინა ლექცია და გაკვეთილები ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს. მარტო ერთ — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურო ინსტიტუტის 25 ფაკულტეტის ღლის, სალამოს დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე 3.400 პირველკურსელი ამ ახალ სასწავლო წელს 65 სხვადასხვა სპეციალობის დაუფლებას იწყებს. ცოდნის ნათელმა ტაძარმა, ჩვენმა ერთ-ერთმა ეროვნულმა სიამაყემ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უაღრესად მომზადებულ ახალგაზრდობა ახალი ნაკადი მიიღო. ყველა ფაკულტეტებზე. ამასთან უნივერსიტეტმა სიახლით გააჯარა ჩვენი სტუდენტობა — აქ ისტორიის ფაკულტეტთან პირველად გახსნილ ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილებაზე თხუთმეტმა პირველკურსელმა სტუდენტმა დაიწყო სწავლა. ხუთასი პირველკურსელი პირველად შევიდა გუშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიებში. ათასობით ახალგაზრდა სწავლობს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. ტექნიკუმებში. საოცარია ცოფრების მჭევრმეტყველების ძალა: რევოლუციამდე მთელ საქართველოს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობდა 800 კაცი, ახლა — 150.000. აი ზრდა!

გუშინ მუშაობას შეუდგნენ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლები. ათასობით მოზარდი და ახალგაზრდა ბიჭი და გოგონა პირველად მიუჯდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მერხები, დადგა მათს ჩარხებთან და დანადგარებთან. იწყება მათი ხალისიანი ლაშქრობა 160 პროფესიის ასათვისებლად. 300 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა ამ ზაფხულს სასწავლებელთა კეთილმოსაწყობად. გუშინ პირველად მიიღეს თავიანთ ნათელ საკლასო ოთახებსა და სასელოსნოებში. აღსაზრდელები თელავისა და მახარაძის ახალმა პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა.

5.000-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა შეუდგა გუშინ ახალ სასწავლო წელს. მრავალ ათასობით პირველკლასელი მოვიდა ჩვენს სკოლებში. მათ ზღვა სიხარული და ახალი სიცოცხლე მოიტანეს. ამდენი ბავშვი ყველა კლასში სწავლობდა საქართველოს სკოლებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მშობლიურად, სიყვარულით შეეგება ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას 75 ათასი მასწავლებელი.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვით ყველა სკოლას გაუკეთდა მომდინარე თუ კაპიტალური რემონტი, დიდი თანხა დაიხარჯა მათი კეთილმოწყობისათვის. 60 ახალ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გუშინ პირველად დაირეკა ზარი. ერთ-ერთი მათგანია დედაქალაქის 136-ე ექსპერიმენტული საშუალო სკოლა, რომელიც პირველად შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან.

ნამდვილი ზეიმი იყო დედაქალაქის 138-ე საშუალო სკოლაში, რომელიც წელს აიგო ლენინის რაიონის ელმავალსაშენებლო ქარხნის დასახლებაში. გუშინ მან პირველად გაიღო კარი 960 მოსწავლეს.

ახლა ძნელია მოიძებნოს რესპუბლიკაში ისეთი რაიონი, რომელიც ან უკვე აგებული, ან მშენებლობის პროცესში არ იყოს სასკოლო შენობები.

ახალი, სისხლსავსე ცხოვრებით იწყებს ცხოვრება დედაქალაქის, ასევე რესპუბლიკის სხვა უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, პროფტექნიკურმა და ტექნიკურმა სასწავლებლებმა.

1967-1968 სასწავლო წელი ძალაში შედის. წარმატებები ვუსურვოთ მას!

• • •

ჩვენს მკითხველებს: სურათი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, გუშინ დედაქალაქის 47-ე საშუალო სკოლაში გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა. ახალი სასწავლო წლის პირველი დღე. პირველი მოლვაწე შეხვედრა. ოცნება მომავალზე. პედაგოგისა და დირექტორის მშობლიური ღიმილი!..

სურათზე: (მარცხნიდან): მეათეკლასელი ნ. თავბერიძე, მეცხრეკლასელი ნ. გურული, მეათეკლასელი მ. მეგენეიშვილი, სკოლის დირექტორი თამარ ჩიხლაძე, მეათეკლასელები ნ. გოგოძე და ქ. კავთიაშვილი.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი საქართველოს უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა.

მეორე სურათზე — ზევით თქვენ ხედავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პირველკურსელებს პირველ ლექციაზე.

ფოტო გ. გოგოხიასი და ვ. გენგიურისა.

საქართველოს ელექტროფიკაცია აღქერში ჩაეყარა

აღქერი, 1 სექტემბერი. (საკუთრივ). აღქერის IV საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს სს რესპუბლიკის მონაწილეობასთან დაკავშირებით გუშინ აქ ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, პირველი მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის თავმჯდომარე გ. ი. ჩოგოვაძე და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ელიგულაშვილი.

დარ-ელ-ბეიდის აეროდრომზე საბჭოთა ელჩობადგენლებს შეხვდნენ აღქერის საბალო დემოკრატიული რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე და IV საერთაშორისო ბაზრობის დირექტორი.

საზეიმო სხდომა

1 სექტემბერს საქართველოს ფილარმონიის საზეიმო სხდომა ტრადიციულად ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სულიერად საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. პოლოლიკაშვილმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. გ. გოგელაურმა.

თავიანთი კოლექტივების სახელით დამსწრეებს დღესასწაული მიულოცავს საქართველოს ნავთობის ტრესტის ბურღვის ოსტატმა ს. ცაბაურმა, „თბილგაზის“ სამმართველოს ინჟინერმა ო. შენგელაიამ, თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის მუშამ შ. დალაქიშვილმა, რუსთავის ქიმიური კომბინატის ახოლის საამქროს ტექნიკურმა ხელმძღვანელმა ნ. ძნელაძემ, ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენების სამმართველოს ინჟინერმა გ. კრამარენკომ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საკუთრივ).

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ლამზალების გეგმის შესრულება

1967 წლის 1 სექტემბრისათვის (ტონობით)

	გეგმა 1967 წლის		შესრულება სეზონის დაწყებიდან		გეგმის შესრულების პროცენტი წლიური	
		ოგვისტის		ოგვისტის		ოგვისტის
აფხაზეთის ასსრ	32695	6740	34408	5967	102,1	88,5
გალის	17925	3588	18182	3050	101,4	85,1
ოჩამჩირის	11056	2214	11481	2033	103,8	91,8
გუდაუთის	3300	600	3226	639	97,8	96,8
გულრიფშის	1120	224	1209	191	107,9	85,3
სოხუმის	294	58	310	54	105,4	93,1
აჭარის ასსრ	32520	6506	30846	3818	94,8	58,7
ქობულეთის	23562	4712	21949	2778	93,2	59,0
ბათუმის	8518	1704	8478	982	99,5	57,6
ქედის	450	90	419	58	93,1	64,4
მახარაძის	38120	7620	36089	5245	94,7	68,8
ზუგდიდის	25785	5160	24404	3658	94,6	70,9
წალენჯიხის	12120	2430	12080	1604	99,8	66,0
ლანჩხუთის	10680	2140	10430	1500	97,7	70,1
გეგეჭკორის	9350	1865	8785	1210	94,0	64,9
ჩხოროწყუს	3450	1690	7807	1006	92,4	59,5
ჩოხატაურის	5780	1155	5502	815	95,2	70,6
ტყიბულის საქალაქო საბჭო	4410	890	4476	515	101,5	58,5
წყალტუბოს	4400	880	5236	674	119,0	76,6
წულუკიძის	4300	860	4310	715	100,2	83,1
ცხაკაიას	4065	813	4370	502	107,5	61,7
ხობის	3670	730	3715	541	101,2	74,1
საგარეჯოს	1270	254	1196	198	94,2	78,0
აბაშის	470	94	584	87	124,3	92,6
თერჯოლის	380	77	508	87	130,5	102,9
ჭიათურის საქალაქო საბჭო	330	66	477	99	144,5	134,3
ვანის	150	30	151	17	100,7	56,7
ზესტაფონის	45	10	69	6	153,3	60,6
სულ	200000	40000	195438	28254	97,7	70,6
მათ შორის ჩაიხა და სუბტროპიული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	37800	7488	36144	5186	96,9	69,2
იგი 1966 წლის 1 სექტემბრისათვის	195000	42900	212232	30828	108,8	71,9

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ბერშადელები ბოლნისში

ბოლნისი. („კომუნისტის“ კორ.). უკვე ოთხი წელია გრძელდება ურთიერთი მეგობრული სოციალისტური შეჯიბრება უკრაინის სსრ ვინიცის ოლქის ბერშადისა და ბოლნისის რაიონების მშრომელებს შორის. ამ შეჯიბრებას საფუძველი 1964 წელს ჩაეყარა, როცა ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობის წევრებმა წერილით მიმართეს თელ საბჭოთა კავშირში სახელგანთქმულ სოფელ შლიახოვის XXII პარტყრილობის სახელობის მშრომელებს, რომელთაც ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო საქმის ნიჭიერი ორგანიზატორი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი ვასილ კაუნი.

ბოლნისელმა და ბერშადელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს ეს შეჯიბრება რაიონის მასშტაბით გაშლილიყო. მას შემდეგ ყოველწლიურად ერთმანეთს ებრძვიან ორ მეგობარ რაიონს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ბუნებრივია ამ ძმურ ურთიერთობას ორივე რაიონის მშრომელთათვის დიდი შედეგები მოაქვს. მეგობრები ეცნობიან ერთმანეთის გამოცდილებას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, უფრო გამეფებულ ნერგავენ წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილებასა და მეცნიერების მიღწევებს, ახლებურად აწყობენ შრომის ორგანიზაციას და ურთიერთდახმარების ხელს უწყობენ ერთმანეთს. მაგალითად, გასულ წელს ბერშადელებმა ბოლნისელებს გამოუგზავნეს 240 ტონა ახალი ჯიშის ხორბალი „მირონოვკა-808“. ამ ჯიშის ხორბალმა ბოლნისში კარგად იხარა და წელს ჰექტარზე საშუალოდ 24,1 ცენტნერი მოსავალი იქნა მიღებული.

ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოში გამოფენილია ვენახი, რომლის მოსავალი ყოველწლიურად გგზავნებათ ბერშადელებს.

დიდ წარმატებებს აღწევენ მეგობარი რაიონების მშრომელები საიუბილეო წელს. სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ ორივე რაიონის მშრომელებმა წარმატებით გაანადღეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ცხრა თვის გეგმები. თუ რა წარმატებას მიაღწიეს ბოლნისელებმა საიუბილეო წელს, როგორ მუშაობენ, რა არის ახალი მათს საქმიანობაში, სწორედ ამის გასაცნობად და ახალი სოციალისტური შეჯიბრების გასაფორმებლად გუშინ ბოლნისელებს ესტუმრა ბერშადელ მშრომელთა დელეგაცია პარტიის ბერშადის რაიკომის პირველი მდივანის, სოციალისტური შრომის გმირის ვასილ კაცურის ხელმძღვანელობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სოფელ შლიახოვის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი მიხეილ მიკულკი, სოფელ ბალანოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივანე დეჩენკო, ბერშადის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ანდრეი ლუცაშინი, კომკავშირის ბერშადის რაიკომის მდივანი ვიტალი მასლიბორსკი და XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანდრეი როძიხოვსკი.

ბერშადელთა წარმოგზავნილებს გულთბილად შეხვდნენ ბოლნისის რაიონის მშრომელები საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომის პირველი მდივნის ვლ. ხანიკიძის ხელმძღვანელობით.

უკრაინელი მეგობრები რამდენიმე დღეს დარჩებიან ბოლნისის რაიონში, გაეცნობიან რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა მუშაობის მეთოდებს, შეამოწმებენ საიუბილეო წლის რვა თვის მუშაობის შედეგებს, დათვალიერებენ რაიონისა და თბილისის ღირსშესანიშნაობებს და გააფორმებენ ახალ ხელშეკრულებას.

ბ. ბურგენიძე.

გულითადი მილოცვები

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა ამხანაგებს ხო ში მინს, ლე ზუანს, ჩიონგ ტინსა და ფამ ვან დონს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მოულოცეს მომე ვიეტნამელ ხალხს, ვიეტნამის შრომელთა პარტიას, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ კრებას, მთავრობას და პირადად რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 22 წლისთავი.

ეს სახელოვანი დღესასწაული, ნათქვამია დეპეშაში, აღინიშნება ვითარებაში, როცა გმირი ვიეტნამელი ხალხი ვიეტნამის შრომელთა პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით წმიდათაწმიდა ბრძოლას აწარმოებს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ხაკადრის პასუხს სცემს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიას, მტკიცედ მიდის წინ სოციალისტური შენებლობის გზით.

ასრულებს რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, საბჭოთა კავშირი კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის მხარდაჭერის პოლიტიკას, რომელიც მოიწონა ჩვენი პარტიის XXIII ყრილობამ და დაადასტურეს ხკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა. სსრ კავშირი ყოველმხრივ ეხმარებოდა და კვლავაც დაეხმარება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მოგერიებაში, განუხრელად უჭერს მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პროგრამას, რომლებიც შეესაბამება მთელი ვიეტნამელი ხალხის მისწრაფებებს, ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს და სამართლიანი საუფლელია ვიეტნამის საკითხის მოსაწესრიგებლად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ მამაცი ვიეტნამელი ხალხი სოციალისტური ქვეყნების, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების დახმარებით გაიმარჯვებს სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ერთობისათვის ბრძოლაში. (საკუთრივ).

მოძმე ვიეტნამელი ხალხის დღესასწაული

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 22 წლისთავის გამო სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ცენტრალურ ლექტორიუმში გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება. შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ მოძმე ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლებს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. თ. ილიაშენკო და სხვა ოფიციალური პირნი.

კრება გახსნა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. პ. ისაევმა. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. კ. რომანოვსკიმ.

კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში ნგუენ თრო ტიანს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა. (საკუთრივ).

ლენინური მეგობრობის დროშით

ბერშადელები ბოლნისში

ბოლნისი. („კომუნისტის“ კორ.). უკვე ოთხი წელია გრძელდება ურთიერთი მეგობრული სოციალისტური შეჯიბრება უკრაინის სსრ ვინიცის ოლქის ბერშადისა და ბოლნისის რაიონების მშრომელებს შორის. ამ შეჯიბრებას საფუძველი 1964 წელს ჩაეყარა, როცა ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობის წევრებმა წერილით მიმართეს თელ საბჭოთა კავშირში სახელგანთქმულ სოფელ შლიახოვის XXII პარტყრილობის სახელობის მშრომელებს, რომელთაც ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო საქმის ნიჭიერი ორგანიზატორი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი ვასილ კაუნი.

ბოლნისელმა და ბერშადელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს ეს შეჯიბრება რაიონის მასშტაბით გაშლილიყო. მას შემდეგ ყოველწლიურად ერთმანეთს ებრძვიან ორ მეგობარ რაიონს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ბუნებრივია ამ ძმურ ურთიერთობას ორივე რაიონის მშრომელთათვის დიდი შედეგები მოაქვს. მეგობრები ეცნობიან ერთმანეთის გამოცდილებას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, უფრო გამეფებულ ნერგავენ წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილებასა და მეცნიერების მიღწევებს, ახლებურად აწყობენ შრომის ორგანიზაციას და ურთიერთდახმარების ხელს უწყობენ ერთმანეთს. მაგალითად, გასულ წელს ბერშადელებმა ბოლნისელებს გამოუგზავნეს 240 ტონა ახალი ჯიშის ხორბალი „მირონოვკა-808“. ამ ჯიშის ხორბალმა ბოლნისში კარგად იხარა და წელს ჰექტარზე საშუალოდ 24,1 ცენტნერი მოსავალი იქნა მიღებული.

ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოში გამოფენილია ვენახი, რომლის მოსავალი ყოველწლიურად გგზავნებათ ბერშადელებს.

დიდ წარმატებებს აღწევენ მეგობარი რაიონების მშრომელები საიუბილეო წელს. სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ ორივე რაიონის მშრომელებმა წარმატებით გაანადღეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ცხრა თვის გეგმები. თუ რა წარმატებას მიაღწიეს ბოლნისელებმა საიუბილეო წელს, როგორ მუშაობენ, რა არის ახალი მათს საქმიანობაში, სწორედ ამის გასაცნობად და ახალი სოციალისტური შეჯიბრების გასაფორმებლად გუშინ ბოლნისელებს ესტუმრა ბერშადელ მშრომელთა დელეგაცია პარტიის ბერშადის რაიკომის პირველი მდივნის, სოციალისტური შრომის გმირის ვასილ კაცურის ხელმძღვანელობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სოფელ შლიახოვის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი მიხეილ მიკულკი, სოფელ ბალანოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივანე დეჩენკო, ბერშადის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ანდრეი ლუცაშინი, კომკავშირის ბერშადის რაიკომის მდივანი ვიტალი მასლიბორსკი და XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანდრეი როძიხოვსკი.

ბერშადელთა წარმოგზავნილებს გულთბილად შეხვდნენ ბოლნისის რაიონის მშრომელები საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომის პირველი მდივნის ვლ. ხანიკიძის ხელმძღვანელობით.

უკრაინელი მეგობრები რამდენიმე დღეს დარჩებიან ბოლნისის რაიონში, გაეცნობიან რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა მუშაობის მეთოდებს, შეამოწმებენ საიუბილეო წლის რვა თვის მუშაობის შედეგებს, დათვალიერებენ რაიონისა და თბილისის ღირსშესანიშნაობებს და გააფორმებენ ახალ ხელშეკრულებას.

ბ. ბურგენიძე.

თბილისში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის მინისტრი ვ. როსი

1 სექტემბერს სოხუმიდან თბილისს ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის შოტლანდიის საქმეთა მინისტრი ვ. როსი მეუღლითურთ.

სტუმრებთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. ს. ალხიმოვი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე გ. შ. მიქელაძე, რომელიც თან ახლდა სტუმრებს აფხაზეთის ას რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს.

ვაგზალზე დიდი ბრიტანეთის მინისტრს შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა მეუღლითურთ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. ა. მეგრელიშვილი, საქართველოს დეპეშათა საგაზეთო — საქმეთა დირექტორი ვ. ი. ტიაურელი, რუსეთის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ვ. კემელავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტურიზმის სამმართველოს უფროსი ო. ა. ქავთარაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ნ. კახიანი. (საკუთრივ).

ვ. როსი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს

თბილისში მყოფი დიდი ბრიტანეთის შოტლანდიის საქმეთა მინისტრი ვ. როსი 1 სექტემბერს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს. მოსარული ვარ მოგვესალმოთ საქართველოს მეწყალეზე, — უთხრა ვ. დ. ჯავახიშვილმა სტუმარს. — უაღრესად კმაყოფილი დავრჩი თქვენთან შეხვედრებით ინგლისში ყოფნის დროს.

ვ. დ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ფართოვდება საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის მეგობრული ურთიერთობა და თქვა, ამას წინათ თბილისში ჩამოსული ყო ედინბურგის მერი და როგორც ჩანს, საქართველოსა და შოტლანდიის დედაქალაქები დამძმობილდებიანო. საბჭოთა ადამიანები, — ხაზგასმით აღნიშნა ვ. დ. ჯავახიშვილმა, — იმის მომხრენი არიან, რომ ფართოდ განვითარდეს საერთაშორისო კონტაქტები, ურთიერთგაგება, განმტკიცდეს ნდობა და მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს ხალხთა შორის.

ბატონმა როსმა აღნიშნა მუდმივი და მჭიდრო კონტაქტების საჭიროება. მან ვ. დ. ჯავახიშვილს გაუზიარა აფხაზეთის სსრ რესპუბლიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. „ეს მართლაც რომ კურორტული მხარეა“, — განაცხადა დიდი ბრიტანეთის მინისტრმა.

საუბრის დროს ვ. როსმა გამოიკითხა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, ტურიზმის განვითარების საკითხები.

ვ. დ. ჯავახიშვილმა ილაპარაკა რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაზე. მან თქვა, რომ ჩვენში შეიქმნა ახალი ინდუსტრიული კერები განვითარდა ენერგეტიკული, მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, საავტომობილო და მრეწველობის სხვა დარგები. ქართველმა კონსტრუქტორებმა შექმნეს ჩაის საკრეფი მანქანა და ამრიგად გადაწყვიტეს ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის პრობლემა. ამ მანქანით დაინტერესდნენ იაპონია, ინდოეთი და სხვა ჩაის მწარმოებელი ქვეყნები.

ვ. დ. ჯავახიშვილმა ილაპარაკა, თუ როგორ აყვავდა ქართული კულტურა და თქვა, რომ რესპუბლიკის 18 უმაღლეს სასწავლებელში 75 ათასზე მეტი კაცი სწავლობს.

ვ. დ. ჯავახიშვილმა ვ. როსს და მის თანმხლებ პირთ გააცნო საქართველოს ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები ახალ ხუთწლედში.

გვწამს, თქვა დასასრულ ვ. დ. ჯავახიშვილმა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მცირე ხნით ყოფნის მიუხედავად, დაინახავთ, თუ როგორ ცხოვრობს და შრომობს ქართველი ხალხი, იგრძნობთ, რა გულთბილად არიან განწყობილი საბჭოთა ადამიანები ინგლისელი ხალხისადმი.

ვიზიტს ეხვრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. გ. გოგელაური, ა. მ. ლაბახუა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. ს. ალხიმოვი, საქართველოს სსრ მინისტრები თ. ვ. ლაშქარაშვილი, ა. ვ. ბერიაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე გ. შ. მიქელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. ა. მეგრელიშვილი, საქართველოს დეპეშათა საგაზეთო — საქმეთა დირექტორი ვ. ი. ტიაურელი, რუსეთის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ვ. კემელავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტურიზმის სამმართველოს უფროსი ო. ა. ქავთარაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ნ. კახიანი. (საკუთრივ).

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1967 წლის 31 აგვისტოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 77 წლის ასაკისა გარდაიცვალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გამოჩენილი საბჭოთა მწერალი, საზოგადო მოღვაწე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, ორგზის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ილია გრიგოლის-ძე ერენბურგი.

ᲛᲣᲓᲐᲕ ᲙᲛᲣᲠᲐᲓ, ᲛᲮᲘᲠᲓᲐᲕᲘᲗ

ᲐᲠᲐᲛᲝᲒᲖᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲐᲓᲝᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ ᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ. ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲡᲐ, ᲘᲒᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲓᲐᲛᲩᲥᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლის“.

ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘ — ᲛᲐᲡᲚᲔᲑᲨᲘ

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲙᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ

ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. ქალაქ ცხინვალის პარტიული ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან ამ საერთო-სახალხო დღესასწაულის ღირსეულად აღსანიშნავად. სამრეწველო საწარმოებში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო ვალდებულებათა დროულად შესრულებისათვის.

ქალაქის მშრომელთა აქტივობას ფრთებს ასხამს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, საიუბილეო თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. პარტიული ორგანიზაციები ოქტომბრამდე იდეკემბის თვითეულ მშრომელამდე დაყვანის მიზნით იყენებენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს.

პარტიის თეზისების პროპაგანდა კარგად მოაწყო ქ. ცხინვალის მომმინანქრებელი სადენების ქარხნის პირველადმა პარტორგანიზაციამ (მდივანი ვ. ხლავინსკი). მომმინანქრებელთა კმაყოფილებას იწვევს პოლიტინფორმატორი ე ბ ი ს ზ. ნართოკოევის, ზ. ნართოკოევის, ვ. ჯაბიევას საუბრები. მათ დახმარებას უწევს ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციასთან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული პოლიტიკური განათლების კაბინეტი, რომელსაც კომუნისტი ვ. ბოქოევი ხელმძღვანელობს. აქ მოწყობილია გამოფენა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებზე. კაბინეტში არის დიაგრამები, რომლებიც ახასიათებენ ქარხნის კოლექტივის მიღწევებს; აქვეა საიუბილეო ვალდებულებები, მათი შესრულების მონაცემები. პოლიტინფორმატორები ეცნობიან ამ მასალებს და შემდეგ მოხერხებულად იყენებენ საუბრებში.

მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში დიდ როლს ასრულებს ხელმძღვანელ მუშაკთა გამოსვლები. ამ მიმართულებით კარგად მოეწყო მუშაობა ცხინვალის მექანიკურ ქარხანაში. აქ მუშების წინაშე სისტემატურად გამოდიან ქარხნის დირექტორი ზ. ძაგოევი, მთავარი ინჟინერი ს. ჯატიევი, საამქროს უფროსი ბ. პლიევი.

ქალაქის მოსახლეობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების „სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის“ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია“, „სსრ კავშირის ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში აგრესიის აღკვეთისა და მშვიდობის აღდგენისათვის“, „სოციალისტური წარმოების განვითარება და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ქ. ცხინვალში ეწყობა თეორიული კონფერენციები, თემატური საღამოები, შეხვედრები სამოქალაქო ომის მონაწილეებთან, ძველ კომუნისტებთან.

საინტერესოდ ჩაიარა სამი თაობის შეხვედრამ, რომელიც მოაწყეს პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. შეხვედრაზე მოვიდნენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეები, ახალგაზრდობის წარმომადგენლები. შეხვედრის მონაწილეებმა მოიხმინეს სამხრეთ ოსეთის ყოფილი მეორე ბრიგადის ყოფილი კომისრის გ. პოდდუბნის, სამოქალაქო ომის მონაწილის ი. ჯიოევის, სამამულო ომის ვეტერანის რ. გაბარაევის, კომკავშირელ ლ. ძუწოვას გაკმოსვლები.

მაგრამ ქალაქის ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია ივიწყებს იდეოლოგიურ მუშაობას. ეს ითქმის ელექტროვიბრომანქანების ქარხნის პირველადს პარტორგანიზაციაზე (მდივანი ი. ჯიოევი). აქ პოლიტინფორმატორები იშვიათად გამოდიან საამქროებში, ბრიგადებში. მუშაობა შეასუსტეს ლექტორებმა, პოლიტმომხსენებლებმა ა. გამოეფნებულნი როდი მასობრივ - პოლიტიკური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის თემატური საღამოები, მოწვნეულ ადამიანებთან შეხვედრები, კითხვა-პასუხის საღამოები. ასევეა მდგომარეობა სტამბასა და ლუდის ქარხანაში.

პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ამ დღეებში იმსჯელა ქალაქის მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. ნაკლოვანებების გამოსასწორებლად დაინახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებლად ფართოდ ჩაღდება მუშაობა.

მ. მაგკოევი,
საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲘ ᲨᲔᲪᲓᲐ

ᲙᲔᲡᲘᲛᲘᲡᲢᲘᲠᲘ იყო დასკვნა ცნობილი ინგლისელი მეცნიერის სპეციალისტის დოქტორ მაინის, რომელიც კონსულტანტად მოიწვიეს საბჭოთა კავშირში. „ზუგდიდის დასავლეთით ჩაის გაშენების შესაძლებლობანი ფრიად საეჭვოა“, — წერდა იგი.

მაგრამ, მოდით, საეჭვოდ ნუ გავხდით ინგლისელი მეცნიერის სწავლულობას. თავის დასკვნებში უცხოელმა სპეციალისტმა ვერ გათვალისწინა მხოლოდ ერთი დიდნაწილნელოვანი გარემოება — სოციალისტური წყობილების გარდამქმნელი ძალა.

წინათ საბჭოთა სუბტროპიკულ რაიონებს ყოფდნენ სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონებად. სამხრეთი ჩაქვია, ჩრდილოეთი — ზუგდიდი. ამ ფარგლებში ფიქრობდნენ სწორედ ჩაის ბუჩქის გაშენებას. მაგრამ საბჭოთა მეცნიერებამ გააფართოვა ეს საზღვრები. ჩაი გასცდა ჯერ ენგურს, შემდეგ კი კოდორსაც.

ახლა აფხაზეთში ხუთი მეჩაიეობის რაიონია: გალისა და ოჩამჩირის რაიონებს დაემატა გულრიფშის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონები.

თუ რაოდენ დიდია ამ კულტურის მნიშვნელობა აფხაზეთის ეკონომიკაში, ჩანს თუნდაც შემდეგი მაგალითით: გასულ სეზონში რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებმა — ასეთი ფაბრიკა კი თერთმეტია — გადაამუშავეს 36 ათასამდე ტონა ნედლეული და გამოუშვეს იმდენი ჩაი, რამდენიც მთელი წლის განმავლობაში ეყოფა სამი ისეთი ქალაქის მოსახლეობას, როგორიც მოსკოვია.

წელს აფხაზეთმა ვალდებულება აღრე, 27 აგვისტოსათვის შეასრულა. ჩაის კრეფის წლიური საწარმოო დავალება 7 ნოემბრისათვის გასანაღდა.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲛᲐᲓᲚᲘᲡ

კვაისა. (საკ. კორ.). ცადაზიდული მოების სიღრმეში გაჩაღებულია მამაცური შრომა ძვირფასი ნედლეულის მოსაპოვებლად. ტყვია-თუთიის საბადოს მუშათა კოლექტივი წინასადღესასწაულო შრომითს ვასტეზე დგას. საამქროებიდან, უბნებიდან, ბრიგადებიდან ყოველდღიურად ახალ-ახალი ამბები მოდის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებათა შესახებ.

საბადოს კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების 7 თვის საწარმოო დავალება 104,5 პროცენტით გაანაღდა. წარმატებით შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების წინასწარდასახული გეგმები.

საიუბილეო წლის სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას სამთო საამქროს მესამე უბნის კოლექტივი, როძელსაც ნ. გეწეიევი ხელმძღვანელობს. ამ უბნიდან მიწის ზედაპირზე განუწყვეტლივ გამოაქვთ მადალხარისხოვანი მადანი. აქ ვალდებულება იკისრეს წლიური საწარმოო დავალება 7 ნოემბრისათვის გასანაღდონ.

ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 1 სექტემბერი. (საქტესი). 31 აგვისტოს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლში ქალაქის პარტიული და სამეურნეო აქტივის. ბათუმის გარნიზონის წარმომადგენელთა წინაშე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. დ. თხილაიშვილი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება „დიდი ოქტომბერი და აჭარა“.

ამხ. თხილაიშვილის მოხსენებით აჭარაში დაიწყო საოქტომბრო კითხვა, რომელსაც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის აწყობენ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი და საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის საოლქო ორგანიზაცია. უახლოეს ხანებში წაიკითხავენ მოხსენებებს „აჭარის მრეწველობა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის“, „აჭარის სოფლის მეურნეობა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის“, „კულტურული გარდაქმნები აჭარაში“, „სოციალისტური ერების აყვავება სსრ კავშირში“, „ქალაქი ბათუმი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის“ და სხვ.

ᲥᲐᲚᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში დაბეჩავებულ და ჭირვარამნახულ სოფლებს შორის იხსენიებოდა სოფელი ახალშენიც. სოფლის მშრომელები მუშაობაში დღედაღამეს ასწორებდნენ, ლუკმაპური კი ყოველთვის საძებარი ჰქონდათ. მაგრამ დიდმა ოქტომბერმა ამ სოფელს ახალი სიცოცხლე, ბედნიერება მოანიჭა. წლების მანძილზე ახალშენი აღორძინდა, ხოლო სოფლის მკვიდრნი შრომამ აღამაღლა და მათ შეძლებული ცხოვრება მოუტანა.

ახალშენი ყველაზე ინტერნაციონალური სოფელია აჭარაში. ხალხთა ლენინური მეგობრობის ძალამ აქ ფრთები გაშალა. სოფელში ერთ ძმურ ოჯახად ცხოვრობენ ქართველები, ბერძნები, სომხები, აფხაზები, აზერბაიჯანელები. სოფელში 1.200 კომლი ცხოვრობს და კოლმეურნეობა 1.800-მდე მუშახელს ითვლის. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა სოფელში ხარობს ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, ხეხილი; ამ ინტერნაციონალური სოფლის კოლმეურნეობას 15 წელია უნარიანად ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალ. ვერძაძე.

სურათზე: ჩაის ფოთლის კრეფა ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის პლანტაციაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲞᲝᲔᲢᲘ ᲥᲐᲚᲘᲡᲐ

ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲚᲘ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ



ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ რევოლუციის მუზეუმში ხშირად ნახავთ თმაშეკერცხლილ, ტანდილად მოუბარ, პატარა ტანის ქალს. ეს რევოლუციონერი ალვასი თალაკვაძეა. იგი თავისი სურვილით მრავალჯერ მუზეუმში და დამთვალიერებელთ მოუთხრობს ბათუმის პროლეტარიატის, აჭარისა და გურიის გლეხობის გმირული ბრძოლის დაუვიწყარ ეპიზოდებზე, რომლებიც ასახულია მუზეუმის მდიდარ ექსპონატებში.

• • •

მას შემდეგ ათეული წლები გავიდა. მიუხედავად ამისა, ალვასეს მეხსიერებას ცოცხლად შემოუნახავს ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებები. ისლითა და ყავრით დახურული, სიღარიბით ჩაეამბული დაბალი ფიცრული სახლები, ტალახიანი გზები- და შუკები. თავგადებული შრომა და სიღატაკე, რომელიც მემკვიდრეობით თან სდევდა გურულ გლეხკაცს. ამას ემატებოდა გაუნათლებლობა, ბატონებისა და ჩაფრების მათრახები.

თითო-ოროლა გლეხკაცის შვილი თუ კი მოახერხებდა სწავლისათვის გამგზავრებას, უკან დაბრუნებული ცდილობდა სალში სიახლის შეტანა. ასეთი „ბუნტოვშჩიკების“ სიბოლოო ხვედრი გაციმბირება იყო.

ალვასის მამას ელიზბარს 12 შვილი ყავდა. მათგან ყველაზე უმცროსი ალვასი იყო. ოჯახს ძალღონე არ დაუშურებია, რომ ერთადერთი ქალიშვილისათვის წიგნი ესწავლებინა. იგი ჯერ სოფელ ასკანის რრკლასიან სკოლაში მიიბარეს, შემდეგ ხონის ოთხკლასიან სასწავლებელში. დას უფროსი ძმა გიორგიც ემპარებოდა. იგი იმისანად ბაკში ნავთის სარეწებში მუშაობდა.

1905 წელს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გურული გლეხების მიერ ნასაკირალში გასროლილმა ყუბბარამ მთელი მონარქიული რუსეთი შეაზანზარა.

იარაღით ხელში ალვასის ნათესავები და მეზობლებიც გამოვიდნენ. ალვასი მაშინ პატარა იყო. დიდი არაფერი გაგებულა იმისა, რაც ნასაკირალთან მოხდა, მაგრამ ეგზეკუციამ, სოფლების აწიოკებამ, ხალხის გაციმბირებამ გოგონა ცხოვრებაზე უფრო ღრმად დააფიქრა.

სოფლად ჩამოსულ გიორგის 1907 წელს ალვასი ბაკში მიჰყავს. გიორგი ამ დროს ბოლშევიკური პარტიის წევრია.

17 წლის ქალიშვილი ძმის მეშვეობით პირადად გაეცნო ბევრ ცნობილ რევოლუციონერს. მათთან მუშაობამ ალვასიზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ქალიშვილი მთელი არსებით ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში.

ოზურგეთის მაზრაში ხიდისთავის ბოლშევიკური არალეგალური კომიტეტი ერთ-ერთ მძლავრ ორგანიზაციად ითვლებოდა. 1917 წელს ალვასი შედის ბოლშევიკურ პარტიაში და ხიდისთაველთა დასმარებით თავის სოფელში აყალიბებს პარტიულ უჯრედს.

რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ, მუშებისა და გლეხებისაგან შეადგინეს წითელი გვარდიის რაზმები.

ხიდისთავის ორგანიზაციას მუდმივი კავშირი ჰქონდა ბათუმის კომიტეტთან. არალეგალური მეხვედრა ხდებოდა პოლია ვლასტოვსკოს ბინაზე. კონსპირაციულ ბინაზე ინსტრუქტაჟისა და პოლიტიკური ლიტერატურის მისალებად ალვასის რამდენჯერმე მოუხდა ჩამოსვლა.

განსაკუთრებული მუშაობა წარმოებდა სოფლად ხალხის გასათვითცნობიერებლად და დასარაზმავად „შინაურულ ვახშმებზე“ აწყობდნენ არალეგალურ კრებებს, ალვასი იმდენ სიფრთხილეს იჩენდა, რომ მის საქმიანობაზე მახლობლებსაც არ აუწიათ ეჭვი.

არ ეძინათ მეხშეფიკებსაც. მენშეფიკთა ერთ-ერთი მთავარი დამცველი, გურიის გვარდიის უფროსი, თავზე ხელაღებული სერგო მითაიშვილი შეიარაღებული რაზმებით აწიოკებდა სოფლებს, ციხეში ყრიდა „საეჭვო პირებს“.

ერთხელ, გურიის ორგანიზაციის სხდომის ოქმისა და აჯანყების გეგმის თბილისში წაღება დაევალა ალვასი თალაკვაძეს. ჩავარდნის შემთხვევაში ფარდა აეხდებოდა მთელ საიდუმლოს, ამიტომ საპირო იყო უკიდურესი კონსპირაცია. ეჭვი რომ არ აეღოთ, ალვასიმ თან გაიყოლა 4 წლის ძმისწული.

მთის პირიდან ოზურგეთამდე ალვასიმ მშვიდობიონ ჩამოაღწია. მაგრამ აი სადგურთან მისი ეტლი გააჩერა ორმა აგენტმა და წინადადება მისცეს განყოფილებაში გაპყოლოდათ.

ნუთუ ყველაფერი დაღუპა? როგორ მოახერხოს საიდუმლო პაკეტის მოსპობა?

მთავარი იყო არ დაბნეულიყო, ბეწვზე ეკიდა არა მარტო მისი სიცოცხლე, არამედ მთელი აჯანყებაც.

განყოფილებაში წინადადება მისცეს, წინააღმდეგობას აზრი არ აქვს და პაკეტი ჩაგვაბარეო.

ალვასიმ წარმატებით გაითამაშა „დაბნეული“ ადამიანის პირველი სცენა.

მაშინ გადაწყდა ჩხრეკა მოეხდინათ, მაგრამ ალვასიმ მამაკაცებისაგან შორს დაიჭირა თავი. სანამ გამჩხრეკ ქალს მოიყვანდნენ, ალვასი ცალკე ოთახში ჩაკეტეს. აქ მას საშუალება მიეცა საიდუმლო პაკეტი თხელი თავსაფრით ბავშვისათვის ტანზე შემოეკრა.

ჩხრეკას შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ეს იყო დაძაბულობის უმაღლესი წერტილი. ყოველ წუთს შეიძლებოდა ბავშვიც გაესინჯათ. უცხო ატმოსფეროში და აგენტთა უსემობით გაოგნებული ბავშვი ამ დროს მთელი ხმით ტიროდა, ალვასის კატეგორიული ზოთხრნით აგენტები იძულებული გახდნენ ბავშვი „ნათესავისათვის“ გადაეცათ, რომელიც დაპატიმრებისთანავე აჩრდილივით თან ეედევნა. საიდუმლო პაკეტმა ასე დაიწერა თავი მენშეფიკთა კალნეტებს.

აჯანყებას წარმატება მხოლოდ ჩოხატაურის სოფლებში მოჰყვა, მაგრამ ეს იყო დროებითი წარმატება. მენშეფიკებმა გვარდია ჩოხატაურს შეუსიეს. მარტო ოზურგეთის მაზრაში დაიპატიმრეს 800 აქტიური მებრძოლი. ბევრ მათგანს საველე სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა (მამალაძეს, ბერიძეს, ბერძენიშვილს, სიხარულიძეს, თედორაძეს, გოგოლიშვილსა და სხვებს) და ოზურგეთის ახლოს, ვაშნარში დახვრიტეს.

ალვასიმ რამდენიმე თვის შემდეგ თავი დააღწია ციხეს. მენშეფიკთა რეპრესიების მიუხედავად ბოლშევიკებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება.

1921 წელს საქართველოში ოქტომბრის მზის ამოსვლას ალვასი თბილისში შეხვდა.

ალვასი მუშაობას იწყებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ამავე წელს გზავნიან ოზურგეთის მაზრაში ქალთა შორის მუშაობის გასაჩაღებლად.

ეს ის პერიოდია, რაც ქალმა კანონით უფლება მოიპოვა მამაკაცთან თანაბრად გამოვიდეს ცხოვრების დიდ ასპარეზზე და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში.

ალვასიმ შემოიკრიბა აქტივისტი ქალები და მაზრის მთავარ დასახლებებში მიავლინა ქალთა შორის მუშაობის გასაჩაღებლად: სუფსაში — შინაფორა თალაკვაძე, ნაგომარში — ქსენია ვასაძე, ლანჩხუთში — თამარ წილოსანი.

1924 წელს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ალვასი გადმოქაჯავს აჭარის საოლქო კომიტეტში ქალთა შორის მუშაობის განყოფილების გამგედ.

აჭარაში თურქ ასიმილატორთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ თავისებური გავლენა მოახდინა ქალზე. სამრეველოს ბუნებით ლაღი ქართველი ქალი მაჰმადიანურმა რელიგიამ ცეცხლითა და მახვილით განდევნა საზოგადოების ასპარეზიდან და ჩადრში გაახვია.

— გული მიკვდებოდა, — იგონებს ალვასი, — ტანწერწეტა, მოელვარე თვალებიან ქართველ ქალებს ქალაქის ქუჩებში მონახვნებივით თალხით შებურულს რომ ვხედავდი. მთაში ხომ ერთ ქალსაც ვერ ნახავდით უჩადროდ. მამაკაცის ბატონკაცური დამოკიდებულება ქალისადმი, ქალის უმეცრება და უუფლებობა, რაც რელიგიამ განამტკიცა, ადვილი აღმოსაფხვერელი რიდი იყო. ქალი ვერ ბედავდა ოჯახის უფროსის ნებართვის მიუღებლად ლაპარაკს მახსოვს, 1925 წელს „ლენინიკით“ ხულოში მივდიოდით. შუახევში შემოგვადამდა. თან მახლდა აჭარელი ქალი, პარტიის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი, ქალთა შორის მუშაობის ერთ-ერთი აქტივისტი ალთუნ შაშიკაშვილი. მაშინდელ შუახევში ჭაბისპირას ერთი ფიცრული სახლი იდგა. ზევით ღამეს ათევდნენ, ქვევით კი საქონელი ებათ. მეორე დღეს ცხენით ავედით სოფელ ძირკვაძეებში. მამაკაცებმა უჩადრო რომ გვნახეს, ძალლები მოგვისიეს.

მაგრამ უმეცრებისგან ხალხის დახსნით გატაცებული ალვასი თანამებრძოლებთან ერთად ქედს როდი იხრიდა წინააღმდეგობათა წინაშე. „რაკი პარტიამ დამავალა, ან უნდა მოვამკვდარიყავი ან დავალება შემესრულებინა, ასეთი იყო ჩვენი მუშაობის პრინციპი“, — ამბობს ალვასი.

აქტივისტები მოთმინებით, დაყვავებით კარდაკარ დადიოდნენ და ასე თანდათან ნათელი შუქი შეაქქონდათ რელიგიური ბანგით მოწამლულ წყვდიადში.

1927 წელს ქ. ბათუმში გაიხსნა ქალთა პირველი კლუბი, რომლის ხელმძღვანელად დანიშნეს ქობულეთის პირველი აქტივისტი ქალი ნაზი ჯიჯავაძე. ნაზის სხვებმაც აუბეს მხარი. მათი დახმარებით საქმე ბეჯრად გაადვილდა.

ამ პერიოდში ცენტრალურ კომიტეტში ალვასის წინადადება შეაქვს ყველა დიდ სოფელში გაიხსნას ჭრაკერვის კურსები, ქალებს უფასოდ მიეცეთ ქსოვილები, ძაფი, წიგნები და 90 ცალი საკერავი მანქანა.

ასეთი სამკერვალო წრეები გახდა ქალთა შორის მუშაობის პირველი კლუბები, სადაც ქალებს ასწავლიდნენ წერაკითხვას, ეაუბრებოდნენ ყოფაცხოვრების, კულტურის, განათლების, მედიცინის საკითხებზე.

1929 წელს ალვასი თალაკვაძემ აქტივთან ერთად დიდი მუშაობა გასწია აჭარელ ქალთა ყრილობის მოსამზადებლად და ჩასატარებლად. ამ ღონისძიებამ უდიდესი გარდატეხა მოახდინა აჭარის ქალთა ცხოვრებაზე. თუ 1927 წელს თითებზე ჩამოითვლებოდა აქტივისტ ქალთა რაოდენობა, დღეს აჭარა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე კუთხეა, სადაც ქალს დიდი წვლილი შეაქვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. აჭარაში ახლა 3.200 მასწავლებელი ქალია, 500-მდე ექიმი, 2.200-მდე ექიმის თანაშემწე, 40-მდე მეცნიერი მუშაკი, უმაღლეს და ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 1.300-ზე მეტი ქალი. ამაღლდა ქალის როლი და ავტორიტეტი. ყოფაცხოვრებაში დიდი ხანია აღმოიფხვრა ქალის უთანასწორობის ნაშთები.

ასეთი გარდატეხა მოხდა ისტორიისათვის უმოკლეს გზაში, ოქტომბრის რევოლუციის მზის ამოსვლის შემდეგ.

ალვასი ბეჯნიერად თვლის თავს, რომ ასეთი დიდი ეროვნული საკითხის მოგვარებაში მასაც გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი.

— მომდის უამრავი წერილები, რომლებშიც გულწრფელ მადლობას მწერენ ის ქალები, რომლებსაც დავეხმარე გამოსულიყვნენ ცხოვრების ასპარეზზე. რა თქმა უნდა, მარტო ვერაფერს გავზდებოდი. ქალთა შორის მუშაობაში დიდი შრომა გასწიეს ნაზი ჯიჯავაძემ. 1918 წლიდან პარტიის წევრმა ელენე უკაჯურიძემ, რომელიც ქალთა ხულოს კომიტეტს ხელმძღვანელობდა, ძველმა ბოლშევიკმა თამარ წილოსანმა, საოლქო კომიტეტის მაშინდელმა ინსტრუქტორმა ალთუნ შაშიკაშვილმა, პოლია ვლასტოვსკომ, ხულოელმა მუსტერ ბოლქვაძემ და სხვებმა.

საზოგადოებრივ შრომასთან ერთად ალვასიმ დაუსწრებლად მიიღო იურიდიული განათლება. 1930 წლიდან მუშაობდა უმაღლეს სასამართლოში, იყო ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1947 წლიდან დღემდე ალვასი ქალაქ ბათუმის ერთ-ერთი პოლიკლინიკის იურისკონსულტია და მიუხედავად ხანგაზოვნებისა (76 წლისაა), გატაცებითა და საქმის დიდი სიყვარულით ასრულებს თავის მოვალეობას.

ალვასის „ცოცხალი მატიანე“ შეარქვეს. იგი ისეთი მნიშვნელოვანი ამბების მომსწრე და მონაწილეა, რომელთა ვრცელი აღნუსხვა აუცილებელია ჩვენი ხალხის მდიდარი ისტორიისათვის.

მ. ბორგილაძე,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

№3-2 გვერდი,
შაბათი,
2 სექტემბერი,
1967 წელი.
ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲣᲓᲐᲕ ᲙᲛᲣᲠᲐᲓ, ᲛᲮᲘᲠᲓᲐᲕᲘᲗ

ᲛᲣᲖᲣᲛᲘᲡ რევოლუციის მუზეუმში ხშირად ნახავთ თმაშეკერცხლილ, ტანდილად მოუბარ, პატარა ტანის ქალს. ეს რევოლუციონერი ალვასი თალაკვაძეა. იგი თავისი სურვილით მრავალჯერ მუზეუმში და დამთვალიერებელთ მოუთხრობს ბათუმის პროლეტარიატის, აჭარისა და გურიის გლეხობის გმირული ბრძოლის დაუვიწყარ ეპიზოდებზე, რომლებიც ასახულია მუზეუმის მდიდარ ექსპონატებში.

• • •

მას შემდეგ ათეული წლები გავიდა. მიუხედავად ამისა, ალვასეს მეხსიერებას ცოცხლად შემოუნახავს ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებები. ისლითა და ყავრით დახურული, სიღარიბით ჩაეამბული დაბალი ფიცრული სახლები, ტალახიანი გზები- და შუკები. თავგადებული შრომა და სიღატაკე, რომელიც მემკვიდრეობით თან სდევდა გურულ გლეხკაცს. ამას ემატებოდა გაუნათლებლობა, ბატონებისა და ჩაფრების მათრახები.

თითო-ოროლა გლეხკაცის შვილი თუ კი მოახერხებდა სწავლისათვის გამგზავრებას, უკან დაბრუნებული ცდილობდა სალში სიახლის შეტანა. ასეთი „ბუნტოვშჩიკების“ სიბოლოო ხვედრი გაციმბირება იყო.

ალვასის მამას ელიზბარს 12 შვილი ყავდა. მათგან ყველაზე უმცროსი ალვასი იყო. ოჯახს ძალღონე არ დაუშურებია, რომ ერთადერთი ქალიშვილისათვის წიგნი ესწავლებინა. იგი ჯერ სოფელ ასკანის რრკლასიან სკოლაში მიიბარეს, შემდეგ ხონის ოთხკლასიან სასწავლებელში. დას უფროსი ძმა გიორგიც ემპარებოდა. იგი იმისანად ბაკში ნავთის სარეწებში მუშაობდა.

1905 წელს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გურული გლეხების მიერ ნასაკირალში გასროლილმა ყუბბარამ მთელი მონარქიული რუსეთი შეაზანზარა.

იარაღით ხელში ალვასის ნათესავები და მეზობლებიც გამოვიდნენ. ალვასი მაშინ პატარა იყო. დიდი არაფერი გაგებულა იმისა, რაც ნასაკირალთან მოხდა, მაგრამ ეგზეკუციამ, სოფლების აწიოკებამ, ხალხის გაციმბირებამ გოგონა ცხოვრებაზე უფრო ღრმად დააფიქრა.

სოფლად ჩამოსულ გიორგის 1907 წელს ალვასი ბაკში მიჰყავს. გიორგი ამ დროს ბოლშევიკური პარტიის წევრია.

17 წლის ქალიშვილი ძმის მეშვეობით პირადად გაეცნო ბევრ ცნობილ რევოლუციონერს. მათთან მუშაობამ ალვასიზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ქალიშვილი მთელი არსებით ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში.

ოზურგეთის მაზრაში ხიდისთავის ბოლშევიკური არალეგალური კომიტეტი ერთ-ერთ მძლავრ ორგანიზაციად ითვლებოდა. 1917 წელს ალვასი შედის ბოლშევიკურ პარტიაში და ხიდისთაველთა დასმარებით თავის სოფელში აყალიბებს პარტიულ უჯრედს.

რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ, მუშებისა და გლეხებისაგან შეადგინეს წითელი გვარდიის რაზმები.

ხიდისთავის ორგანიზაციას მუდმივი კავშირი ჰქონდა ბათუმის კომიტეტთან. არალეგალური მეხვედრა ხდებოდა პოლია ვლასტოვსკოს ბინაზე. კონსპირაციულ ბინაზე ინსტრუქტაჟისა და პოლიტიკური ლიტერატურის მისალებად ალვასის რამდენჯერმე მოუხდა ჩამოსვლა.

განსაკუთრებული მუშაობა წარმოებდა სოფლად ხალხის გასათვითცნობიერებლად და დასარაზმავად „შინაურულ ვახშმებზე“ აწყობდნენ არალეგალურ კრებებს, ალვასი იმდენ სიფრთხილეს იჩენდა, რომ მის საქმიანობაზე მახლობლებსაც

ბრძოლის, გამარჯვების გზა

ოცდაორი წელი გავიარეთ ამ დღეებს, როცა ვიეტნამელმა ხალხმა, რომელმაც სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის დროს აღმართა, გამარჯვებით დაამთავრა ბრძოლა იაპონელი ოკუპანტებისა და მათი მარionეტების წინააღმდეგ. ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების გავლენით, დამთავრდა აგვისტოს რევოლუციით. მას შემდეგ 2 სექტემბერი — ამ დღეს 1945 წელს ბადინის მოედანზე გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკა — ვიეტნამელი ხალხის ყველაზე დიდი ეროვნული დღესასწაული გახდა.

პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა რესპუბლიკას მოუხდა კოლონიზატორების წინააღმდეგ გაჟაღრებულ ბრძოლაში დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა. მხოლოდ 1954 წელს ეს ბრძოლა წარმატებით დამთავრდა. ხელმოწერილ იქნა ჟენევის შეთანხმება. ვიეტნამელმა ხალხმა მემკვიდრეობად მიიღო ჩამორჩენილი, თითქმის ცხრა წლის ომით გაპარტახებული ქვეყანა. დანგრეული იყო თითქმის ყველა საწარმო, დიდი საირიგაციო ნაგებობანი, რკინიგზის ლიანდაგები, მოსპობილი იყო ბევრი პლანტაცია.

ოთხი როდი იყო ომისშემდგომი წლები, როცა საძირკველი ეყრებოდა ახალ სოციალისტურ ეკონომიკას. აკლდათ სპეციალისტები, მოწყობილობა, სახსრები, ვიეტნამელ ხალხს მიეშველნენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. უდიდეს სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა შედეგად ვიეტნამის სახალხო მეურნეობაში თანდათან დაიკავა წამყვანი ადგილი სოციალისტურმა სექტორმა. მტკიცე საფუძვლები ჩაეყარა სათბობ-ენერგეტიკულ მრეწველობას, მანქანათმშენებლობას, ქიმიურ ინდუსტრიას, მეტალურგიას. ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაიწყო სხვადასხვა სახის ლითონსაკრელი ჩარხების, დიზელმოტორების და ელექტრომოტორების, ტრანსფორმატორების, ტუმბოების წარმოება.

მთავრობამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მონოკულტურული ხასიათის ლიკვიდაციისათვის, რომელიც სპეციალიზებული იყო ბრინჯის წარმოებაზე. დიდი ყურადღება მიექცა ტექნიკური კულტურების მოყვანას, მეცხოველეობასა და თევზჭერას.

დიდ წარმატებებს მიაღწია ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კულტურის სფეროშიც. რევოლუციამდე ვიეტნამის მცხოვრებთა 95 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. დღეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა წერა-კითხვის თითქმის მოლიანი მცოდნეობის ქვეყანაა. ეროვნულ უმცირესობებს — მეოთ, ტაისა და სხვებს საკუთარი დამწერლობა გაუჩნდათ, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამ მილიონზე მეტი მოსწავლეა, მუშაობს 20-ზე მეტი ინსტიტუტი და 130 ტექნიკუმი და პროფესიულ-ტექნიკური სკოლა. ვითარდება ხალხის ჯანმრთელობის დაცვაც. ამჟამად ერთი ექიმი მოდის ყოველ 8 ათას მცხოვრებზე (რევოლუციამდელ ვიეტნამში ერთი ექიმი მოდიოდა ყოველ 108 ათას მცხოვრებზე).

სოციალისტურ მშენებლობაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები უწინარეს ყოვლისა ვიეტნამელი ხალხის თავდადებული შრომის შედეგია. რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებით განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალ სოციალისტური ქვეყნების უანგარო დახმარებასაც. ხელმძღვანელობენ რა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპით, ისინი ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ და უწევენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. მარტო სსრ კავშირის დახმარებით რესპუბლიკაში იმ წლებში აღდგენილ იქნა და ჯშენდა 45 მსხვილი სამრეწველო საწარმო და ობიექტი. საბჭოთა კავშირმა უდიდესი დახმარება გაუწია სახელმწიფო მეურნეობების შექმნაშიც, მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობასა და აღჭურვაში.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიას, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, არაერთგზის გამოუთქვამთ მადლობა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისადმი იმ დახმარებისათვის, რასაც ისინი უწევენ ვიეტნამელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობაში.

მაგრამ მალე ამერიკელმა იმპერიალისტებმა დაარღვიეს ვიეტნამელი ხალხის მშვიდობიანი შრომა. შეერთებულმა შტატებმა ჩაშალეს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი და დაიწყეს ავანტიურული ომი სამხრეთვიეტნამელი პატრიოტების წინააღმდეგ, შემდეგ კი გადავიდნენ აგრესიულ მოქმედებაზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. აი უკვე 2,5 წელზე მეტია ამერიკელი ინტერვენტები ყოველდღე ბარბაროსულად ესხმიან თავს რესპუბლიკის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. ბომბავენ ქარხნებს, ადმინისტრაციულ შენობებს, სკოლებს, საავადმყოფოებს. ვაშინგტონი იმედოვნებდა, რომ სამაერო თავდასხმებით დეზორგანიზაციას შეიტანდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკაში, დაშინებდა ხალხს.

მაგრამ ამერიკელ აგრესორთა გარაუდები არ გამართლდა. ვიეტნამელი ხალხი იარაღით ხელში იცავს თავის სამშობლოს და ამავე დროს განაგრძობს აღმშენებლობითს შრომას, მიუხედავად დაბომბვისა და არტილერიის დაშენისა, სრული დატვირთვით მუშაობენ ხონგაის მეშახტეები, ნამდინის ფეიქრები, მაიფონის ნავსადგურის მუშები, ასობით საწარმოს მშრომელნი. ჯუნგლებში ევაკუირებული სამრეწველო საწარმოები კვლავ ძლევიან შეგეგმაზის პროდუქციას. სახალხო-სამეურნეო გეგმა 1966 წელს ძირითადი მაჩვენებლებით შესრულდა.

ცოდნისადმი ადამიანთა სწრაფვა ვერც ამერიკის ავიაციის სისტემატურმა თავდასხმებმა შეანელა, ვერც ომის მკაცრმა ვითარებამ. უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიები სავსეა ახალგაზრდებით. ბევრი უმაღლესი სასწავლებელი განლაგებულია სოფლებში და ევაკუირებულია ჯუნგლებში, განათლების სამინისტროს ცნობებით, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვი მომდინარე სასწავლო წელს 56 პროცენტით გაიზარდა, ტექნიკუმების მოსწავლეებისა კი — თითქმის ერთიორად.

ამრიგად, ჩაიფუშა ამერიკელ სტრატეგთა გეგმები გამოეწვიათ ვიეტნამში ეკონომიური ქაოსი, დაეჩოქებინათ ვიეტნამელი ხალხი. ვიეტნამელ ხალხს მიეშველნენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. რესპუბლიკის საჰაერო თავდაცვის ქვეგანაყოფები ამჟამად აღჭურვილი არიან თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით. ასრულებს რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, სსრ კავშირი ქმედითს დახმარებას უწევდა და უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას მისი თავდაცვისუნარიანობის, მისი ეკონომიკის განმტკიცებაში.

რესპუბლიკა გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევს ინტერვენტებს და განაგრძობს ბრძოლას ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესიული ომი სამხრეთ ვიეტნამში, გაიყვანონ იქიდან თავიანთი ჯარები, შეწყვიტონ დაბომბვა და სხვა საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და შესაძლებლობა მისცეს ვიეტნამელ ხალხს თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლიან მოთხოვნებს მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 22-ე წლისთავის დღეს საბჭოთა ადამიანები ერთხელ კიდევ უცხადებენ თავიანთ სოლიდარობას ვიეტნამის გმირ ხალხს.

ლ. ნოსირევი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. სურათებზე: მარჯვნივ ზემოდან — მუდმივი დენის გენერატორის აწყობა ჰანოის რადიომოწყობილობათა და კავშირგაბმულობის საშუალებათა ქარხანაში; ჰანოის რაიონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის — ვინ ნინის წევრები იღებენ ბრინჯის მოსავალს; ახალი სასწავლო წლის პირველი გაკვეთილი; ქვეშთა მარცხნიდან — ბრძოლებში სახელგანთქმული ნუგენ სუნ ჩონგის მეზენიტეები; ვიეტნამის სახალხო არმიის გმირი კაპიტანი ლამ ვან ლიკი.

ფოტო ვიეტ-საკდესისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტინგი ჰანოიში

ჰანოი, 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს ჰანოიში კიმბართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 22 წლისთავისადმი მიძღვნილი სახეიმო მიტინგი.

მიტინგის პრეზიდიუმში იყვნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინის მეთაურობით. მიტინგს ესწრებოდნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ჰანოის შუდმივი წარმომადგენლობის მეთაური ნგუენ ვან ტიენი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, უცხოელი სტუმრები.

მიტინგი გახსნა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ჩიონგ ტინმა.

მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გვატყობინებს, მან დამსწრეთ გააცნო ვიეტნამის მდგომარეობა, ჩამოაყალიბა ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი პოზიცია და მოუწოდა, რომ დაამარცხონ ამერიკელი აგრესორები.

ჩინეთის ხელისუფალნი ხელს უშლიან ნორმალურ ნაოსნობას სასაზღვრო მდინარეებში

31 აგვისტოს ჩინეთის სელჩოს მოსკოვში გაეგზავნა სსრ კავშირია საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა იმის გამო, რომ ჩინეთის მხარემ ჩაშალა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ამურის აუზის მდინარეთა სასაზღვრო მონაკვეთებზე ნაოსნობის შერეული კომისიის XIV თათბირი, რომელიც მოიწვიეს ხარბინში მიმდინარე წლის 11 ივლისს შუსაბამისად საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1951 წლის 2 ივნვრის შეთანხმებისა სასაზღვრო მდინარეებში ამურში, უსურში, აოგუნში, სუნგარჩსა და ხანკის ტბაში ნაოსნობის წესის შესახებ.

XIV თათბირს უნდა განეხილა და გადაეწყვიტა მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, რომლებიც აღეძვრებათ საბჭოთა და ჩინეთის მხარეების სამდინარო სამსახურებს ნაოსნობისათვის მდინარეთა სასაზღვრო მონაკვეთების ერთად გამოყენების დროს.

ჩინეთის მხარე თათბირის მუშაობის პირველი დღიდანვე ისახავდა მიზნებს, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ თათბირის ამოცანებთან და ნაოსნობის პირობების დაცვასა და გაუმჯობესების კონკრეტულ საკითხთა განხილვას ნაცვლად გაჯავთა მთელი რიგი პროვოკაციული განცხადებანი და ცდილობდა საბჭოთა დელეგაციისათვის განხილველად თავს მოეხვია საზღვრის ხაზის გავლის საკითხები, რომლებიც არ შედიან შეერეული კომისიის კომპეტენციაში. ამ საკითხების განხილვა დაიწყეს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რეპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებმა 1964 წელს და მათი განხილვა არ დამთავრდა ჩინეთის მხარის მიზეზით. ჩინეთის მხარე დღემდე არ დაუსახელებია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო ხაზის დაუსტენის შესახებ კონსულტაციათა გაგრძელების მისთვის მისაღები თარიღი, თუმცა საბჭოთა მხარემ თავის წინადადებაში 1964 წლის 28 სექტემბრს განაცხადა, რომ მზად იყო განეგრძო კონსულტაციები ჩინეთის მხარესთან 1964 წლის 15 ოქტომბრის მოსკოვში.

ჩინეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ მხოლოდ მაშინ დაეთანხმება თათბირის დღის წესრიგის იმ გადაუდებელი პრაქტიკული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას, რომლებიც შეეხება ნაოსნობის პირობების უზრუნველყოფას, თუ საბჭოთა დელეგაცია თანახმა იქნებოდა განეხილათ საკითხები, რომლებსაც არათითარი კავშირი არა აქვს თათბირთან. თავიანთი პროვოკაციული მოქმედებით ჩინეთის წარმომადგენლები აშკარად ცდილობდნენ საქმე იქამდე მიეყვანათ, რომ საბჭოთა დელეგაციას მიეტოვებინა თათბირი.

საბჭოთა დელეგაციამ ტაქტი და თავდაჭერილობა გამოიჩინა და ცდილობდა, რომ თათბირი შესდგომოდა ალაითხების განხილვას დღის წესრიგის შესაბამისად.

მომდინარე წლის 25 ივლისს ჩინეთის დელეგაციამ, როცა დარწმუნდა, რომ ამაოდ ცდილობს პროვოკაციების მოწყობას და ისეთი საკითხების თათბირზე განხილვას, რომლებსაც დღის წესრიგთან საერთო არა აქვთ რა, ჩაშალა თათბირი, რითაც ცხადყო, რომ ჩინეთის მხარეს არა სურს საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა მომდინარე წელს სასაზღვრო მდინარეებში ნაოსნობის პირობების გაუმჯობესების საქმეში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შეერეული კომისიის XIV თათბირის ჩაშლა „ჩინეთის ხელმძღვანელობის წინასწარ განზრახული აქტია, რომელიც არა მარტო უხეშად არღვევს 1951 წლის შეთანხმებას მდინარეების სასაზღვრო მონაკვეთების სანაოსნოდ გამოყენებისა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის თანამშრომლობის შესახებ, არამედ მიზნად ისახავს დაძაბულობის შემდგომ გაძლიერებას სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რეპუბლიკის ურთიერთობაში. (საკდესი).

აგრესიული აქტი

ანკარა, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც კამბოჯის მეხუთე სამხედრო ზონის ხელისუფალნი იუწყებიან, ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალების თვითმფრინავები ამ ბოლო დღეებში კამბოჯის ტერიტორიაზე რატანაკირის პროვინციაში ფანტავენ მოწამლულ საგნებს. ეს ორის მომწამვნო ფერის პატარა ლითონის დისკოები, რომლებსაც მოწამლული წვეტები აქვთ.

დამთავრდა ე. ო. კრაგის ვიზიტი

ბუქარესტი, 1 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კომუნიკე დანიის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ენს ოტო კრაგის რუმინეთში ოფიციალური ვიზიტის შესახებ. რუმინეთში ყოფნის დროს კრაგი მიიღო რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ. საუბრის დროს, იუწყება აჟერპრესის სააგენტო, მხარეებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს რუმინეთ-დანიის ურთიერთობის განვითარების საკითხებსა და ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაურერთან მოლაპარაკების დროს განიხილეს რუმინეთისა და დანიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზები და საუბარეთანი, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემები. მოლაპარაკების შედეგად ბელი მოაწერეს რუმინეთ-დანიის შეთანხმებას კულტურული თანამშრომლობის, სატრანსპორტო ტვირთნიდვის, ეკონომიური, სამრეწველო და ტექნიკური კოოპერირების შესახებ.

პრობლემები ომით ვერ გადაიჭრება

პარიზი, 1 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. კუვ დე მიურვილმა კვლავ დაგმო ომი, როგორც ახლო აღმოსავლეთის პრობლემათა გადაჭრის საშუალება.

მ. კუვ დე მიურვილი გამოვიდა ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის წევრთა წინაშე და აღნიშნა, რომ საფრანგეთის პოლიტიკა მსოფლიოს ამ რაიონის მიმართ ნაკარნახევია მშვიდობისადმი მისწრაფებით. მან განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში გაჩაღებულმა ომმა ვერც ერთი პრობლემა ვერ გადაჭრა.

მ. კუვ დე მიურვილმა თავის გამოსვლაში აგრეთვე გაიკაშკაშა ვიეტნამის ომის გაგრძელების წინააღმდეგ, და განაცხადა, რომ კონფლიქტის გამწვავებამ შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს.

ეროვნული კრების კომისიების სხდომები მიმდინარეობს დახურულ დარბაზში. მაგრამ ბუბრნოთა სასახლის კულუარებში, სადაც მოთავსებულია ეროვნული კრება, ცნობილი გახდა, რომ მ. კუვ დე მიურვილის გამოსვლა ძირითადად მიეძღვნა ორ საკითხს — ახლო აღმოსავლეთსა და პრეზიდენტ დე გოლის მოგზაურობას კანადაში მომდინარე წლის ივლისში.

ბერლინი, 1 სექტემბერი. (საკდესი).

ბერლინის საგანგებო ბრძოლა ფაშისტურ ბანდებთან. ბერლინის ბანდიტ-ფაშისტებმა ბერლინის ბანდიტ-ფაშისტებმა ბერლინის ბანდიტ-ფაშისტებმა

საიუბილეო სპექტაკლები, გასტროლები

დღეს რუსთაველის თეატრი ხსნის ახალ სეზონს

დღეს, 2 სექტემბერს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ხსნის ახალ, 1967-1968 წლის თეატრალურ სეზონს. მაყურებელს უჩვენებს გასული თეატრალური სეზონის ბოლო დადგმას — ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვას“.

რობერტ მენდელა ლლეკანდელი თეატრალური სეზონი? რა ახალ სპექტაკლებს ნახავენ ჩვენი მაყურებლები, რობერ ხვდება თეატრი დიდი ოქტომბრის საიუბილეო თარიღს? — ამ კითხვებით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თეატრის დირექტორს ნ. კიბერს.

აი რა გვიპასუხა მან:

წლევანდელი თეატრალური სეზონი რუსთაველის თეატრის კოლექტივისათვის შეტად პასუხსაგებია. ჩვენ ვიწყებთ მუშაობას მაშინ, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება ღირსეულად აღნიშნოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავი. იუბილესათვის მზადება თეატრის კოლექტივმა დიდიხანია დაიწყო. ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინათ ჩვენ დავგეგმეთ საიუბილეო სპექტაკლების ციკლი. ამ ციკლში შევიდა სპექტაკლები რევოლუციურ წარსულზე, საკოლმეურნეო ცხოვრების აღმავლობაზე, მუშათა კლასახისა და ჩვენი ინტელიგენციის დღევანდელ ცხოვრებაზე.

ასეთი სპექტაკლები ამ სამი წლის განმავლობაში კიდევაც დადგა თეატრმა. მე მხედველობაში მაქვს ვ. დარასელის „ხიმღერა შევარდენზე“, ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“. ბოლოს, საიუბილეო ციკლიდან წელს თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი მაყურებელს უჩვენებს რ. ებრალიძისა და ხ. დოლიძის პიესას „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“... სპექტაკლში ასახული იქნება ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშათა ცხოვრება, ის დიდი გარდაქმნები, რამაც ქარხანა ჩამორჩენილი საწარმოდან მოწინავეთა რიგებში ჩაიყენა. სპექტაკლს დგამს მაყურებლისათვის კარგად ცნობილი ახალგაზრდა მსახიობი გ. ქავთარაძე, რომელმაც არაერთი საყურადღებო როლი შექმნა თეატრსა და კინოში. გ. ქავთარაძისათვის ეს არის სადებიუტო სპექტაკლი, იგი ხომ წელს ამთავრებს თეატრალურ ინსტიტუტს.

მეორე მეტად პასუხსაგები მომენტი ჩვენი თეატრის წლევანდელ სეზონში — ეს არის გასტროლები საზღვარგარეთ.

10 ოქტომბერს თეატრის მთელი დასი 70 კაცის შემადგენლობით საგასტროლოდ მიეგზავრება მოძმე რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში. ეს იქნება რუსთაველის თეატრის, და საერთოდ ქართული თეატრის, პირველი გასვლა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბალეტო დასის გასტროლებს.

რეპერტუარში გვაქვს ოთხი სპექტაკლი. „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“..., სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“ და მეოთხე სპექტაკლი „11 სცენა“. ეს სპექტაკლი წარმოადგენს თეატრის რამდენიმე დადგმის ნაწყვეტებს. რუმინელი მაყურებლები გაეცნობიან ნაწყვეტებს სპექტაკლებიდან „ხოგაის მინდია“, „გვადი ბიგვა“, „მეფე ლირი“, „ესპანელი მღვდელი“, „ჩალის ქუდი“, „მზიანი ღამე“, „ჰინკრაქა“, „ხეიდემის-პროცესი“, რუმინელი კლასიკოსის კარაჯალეს „დაკარგული ბარათი“, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

გასტროლებს ვიწყებთ ბუქარესტის კარაჯალეს სახელობის რუმინეთის ეროვნული თეატრის სცენაზე. აქ ვაჩვენებთ ოთხ სპექტაკლს, შემდეგ გამოსვლები გვქონია ქალაქების კლუჟისა და ტირგუ-მურეს თეატრების სცენებზე, სადაც მაყურებელს ვუჩვენებთ ორ-ორ სპექტაკლს.

საგასტროლოდ მზადება თეატრში უკვე დაიწყო. მომზადებული გვაქვს რუმინულ ენაზე სპეციალური ბუკლეტები, პროგრამები, აფიშები, რომლებიც მაყურებელს გააცნობენ ჩვენი თეატრის ისტორიას, რუმინულ ენაზე მოუთხრობენ მათი სპექტაკლების მოკლე ანოტაციას.

უნდა მოგახსენოთ, რომ რუმინეთში გასტროლების დამთავრების შემდეგ 23 ოქტომბერს თეატრის კოლექტივი ჩამოდის მოსკოვში. აქ 24-25 ოქტომბერს მცირე თეატრის სცენაზე დედაქალაქის მეტად მომთხოვნ მაყურებელს უჩვენებს ორ სპექტაკლს: „გვადი ბიგვასა“ და „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“... ამას გარდა სამ სპექტაკლს ვუჩვენებთ კრემლის თეატრში.

1 ნოემბერს კი დავბრუნდებით თბილისში და გავმართავთ საიუბილეო სპექტაკლების კვირეულს. კვირეულის დღეებში მაყურებელი ნახავს ყველი ამ სპექტაკლს, რომლებიც თეატრმა მოამზადა ოქტომბრის 50-ე წლისთავის ზეიმისათვის.

ასეთია ძირითადად ჩვენი გეგმები, ჩვენი საგასტროლო სპექტაკლები.

რაც შეეხება სეზონის დანარჩენ სპექტაკლებს, ახალ წარმოდგენებს, ამჟამად თეატრის კოლექტივი მუშაობს ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილზე“. მის დადგმას განახორციელებს თეატრის მთავარი რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ჩხარტიშვილი. რეჟისორი რ. სტურუა დახადგმელად ამზადებს ა. ცაგარელის „ხანუმას“.

ერთი სიტყვით, ჩვენი თეატრის მთელი კოლექტივი ენერგიასა და შრომას არ დაიშურებს, რომ რაც შეიძლება მეტი სიხარული მოუტანოს ჩვენს მაყურებელს.

მაშ ახლ, გელით სპექტაკლებზე, ძვირფასო მაყურებლებო!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონის ცენტრებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის დაიდგმება დიდ სამამულო ომში დალუპულ მეომართა ძეგლები.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა, სკულპტორმა ვ. ჩხეიძემ და არქიტექტორმა თ. ჩხეიძემ შექმნეს ქართველი ქალის ექვსმეტრიანი ხიმშოლური სკულპტურული ფიგურა „მწუხარე დედა“.

ეს ძეგლი დაიდგმება ქალაქ სამტრედიის ცენტრალურ მოედანზე ამ არქიტექტურული კედლის ფონზე, რომელზედაც წარწერილია „დიდი სამამულო ომის ბრძოლებში დალუპულ გმირებს“.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: „მწუხარე დედა“.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲣᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-174“

1967 წლის 31 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-174“.

თანამგზავრზე დადგმული ზუსტი აპარატურა განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა ამ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკავშირო გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 11 საათი და 55 წუთი, მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 39.750 კილომეტრი, მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 500 კილომეტრი, ორბიტის დახრილობა — 64,5 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

მიღებულ გაზომვათა ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲔᲔᲒᲘᲞᲢᲘᲡ ᲔᲔᲠᲝᲓᲘᲔᲑᲘ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲡᲢᲠᲐᲓᲝ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ფილარმონიის საზაფხულო თეატრში რამდენიმე დღეა კონცერტებს მართავს აზერბაიჯანის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი კომპოზიტორ ბ. ხანმამედოვის მხატვრული ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით.

სტუმრებმა მრავალფეროვანი პროგრამა ჩამოიტანეს. მახვილგონივრულად, მსუბუქი იუმორით მიჰყავს კონცერტი კონფერანსიე გრ. მინიკოვს.

თბილისელებმა მოისმინეს წარმტაცი აზერბაიჯანული მელოდიები, სიმღერები, ისლეს ეროვნული ცეკვები.

დიდი წარმატება ხვდათ ორკესტრის სოლისტებს ზაურ ნურულაევს, მიხეილ ვინიცკის, ნელი ანდრეევას, ვლადიმერ რუსტამოვს, ალექსანდრა კონსტანტინოვას, აგრეთვე, ორკესტრის სოლისტებს, საყვირის დამკვრელ. მუსიკოსს ალექსანდრე დადაევს და საქსოფონისტ კონსტანტინე აიჩენკოს.

ორკესტრი სასიამოვნოდ ეღერს და ეს უწინარეს ყოვლისა მუსიკალური ხელმძღვანელის ვალერი შერბინის დამსახურებაა.

აზერბაიჯანელმა სტუმრებმა თავიანთი ხელოვნებით თბილისელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (ზემოდან ქვემოთ) ეხტრადზეა აზერბაიჯანის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი. მღერის ნ. ანდრეევა; სოლისტი მ. ვინიცკი.

ფოტო ე. ნადარეიშვილსა.

Ი. Ი. ᲜᲘᲙᲝᲑᲐᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სამედიცინო მეცნიერებამ, სამედიცინო საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს მედიცინის ისტორიის ერთ-ერთი ბეჭერი, თავდადებული და ნაყოფიერი მკვლევარი, დასტაქარ-უროლოგი, სკკპ წევრი 1943 წლიდან, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის სოციალური ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის გამგე, პროფესორი ᲘᲝᲐᲜᲔ ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲘᲡ-ᲫᲔ ᲜᲘᲙᲝᲑᲐᲫᲔ.

ი. ნიკობაძე დაიბადა ქალაქ ხაშურში 1898 წელს. 1918 წელს შეგიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც 1924 წელს წარჩინებით დაამთავრა.

1927 წლამდე ნიკობაძე მუშაობდა ქ. გორში სკოლის ექიმად და წითელი ჯვრის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ორდინატორად. შემდეგ მივლინებულ იქნა ქ. ლენინგრადში უროლოგიის შესასწავლად და წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა გამორჩენილი უროლოგის პროფესორ ვ. ა. გორაშის კლინიკაში.

მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ი. ნიკობაძე მუშაობდა ქალაქ გორის პოლიკლინიკის გამგედ და მის მიერ ჩამოყალიბებულ უროლოგიურ კაბინეტში.

1930 წლიდან ი. ნიკობაძე მოღვაწეობს თბილისის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში და მშვენიერად უთავსებს ერთმანეთს მკურნალისა და ორგანიზატორის მუშაობას.

1938 წლის ბოლოდან იგი გადმოვიდა ქ. თბილისის 1-ლი კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ-უროლოგიური განყოფილების ორდინატორად, სადაც აკადემიკოს ა. წულუკიძის ხელმძღვანელობით აიმაღლა ქირურგიულ-უროლოგიური ცოდნა და დაეუფლა პედაგოგიურ ხელოვნებას. 1941 წელს ნიკობაძე მობილიზებულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც იგი მუშაობდა ჯერ წამყვან ქირურგად სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში, შემდეგ სამხედრო სამედიცინო კომისიის წევრად.

დემობილიზაციის შემდეგ იგი მუშაობდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ სამმართველოში უფროს ინსპექტორად და ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების უფროსად, შემდეგ ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ.

1941 წელს ი. ნიკობაძემ წარჩინებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1953 წელს კი სადოქტორო დისერტაციები. ამის შემდეგ იგი არჩეულ იქნა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის უროლოგიური კათედრის დოცენტად. 1965 წელს კი ამავე ინსტიტუტის სოციალური ჰიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის კათედრის გამგედ, რომელსაც იგი დიდი წარმატებით განაგებდა თავიის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. იმავე დროს იგი იყო იმავე ინსტიტუტის ქირურგიული ფაკულტეტის დეკანი. ი. ნიკობაძის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა, რომელთაგან 6 მონოგრაფიაა.

პროფესორ ი. ნიკობაძის სახით საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დაკარგა ფართო ერუდიციის, მეცნიერი-მკვლევარი, ბუნებისმეტყველი ექიმი, კარგი მეგობარი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს და ქართული სამედიცინო მეცნიერების განვითარებას.

პროფესორ ი. ნიკობაძის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი ამხანაგების, მეგობრების და ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ, ᲔᲥᲘᲛᲗᲐ ᲓᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ; ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲠᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲛᲝᲑᲐ; ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲗᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲛᲝᲑᲐ.

ᲛᲐᲛᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲜᲘ

□ ᲡᲙᲘᲚᲝ — ᲛᲐᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲙᲐᲠᲘ □ ᲛᲐᲛᲝᲜᲢᲔᲑᲘ

• ᲒᲐᲓᲐᲨᲕᲔᲜᲓᲜᲔᲜ, ᲡᲙᲘᲚᲝ — ᲙᲐᲠᲐ!

რᲝᲪᲐ საუკუნეების წინათ ციმბირის მარად გაყინულობაში მამონტის ძვლებს ან ლეშს პოულობდნენ, ეს სენსაცია იყო. და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხოლმე ლეგენდები ნადირის შესახებ, რომელიც თითქოს თვითონ იმარხებოდა მიწაში. მზის შუქის შიშით.

ახლა მამონტის ნაშთებს საკმაოდ ხშირად პოულობენ საბჭოთა კავშირის ბევრ რაიონში. და მიუხედავად ამისა, ნადავლმა, რომელიც ამას წინათ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ზოოლოგიური ინსტიტუტში მოიტანეს, დიდად დაინტერესა მეცნიერები.

აი რა უამბო ახალი ამბების საინგენერო კორესპონდენტს ამის თაობაზე პალეონტოლოგმა ᲕᲐᲫᲘᲛ ᲑᲐᲠᲨᲢᲘᲜ:

— აზოვის მიდამოებში ნაპოვნი ცხოველი მამონტის წინაპარია. ეს არის ტროგონტერიული სპილო. ასეთი სპილოს პოვნა ძალიან იშვიათად არის შესაძლებელი. მსოფლიოს მუზეუმებში აქამდე არა ჰქონიათ მისი მთელიანი ჩონჩხი.

უძველესი ცხოველების შესწავლა არა მარტო წელიერია ადამიანის საუკეთესო სწრაფვაში — შეიცნოს დედამიწის წარსული — მას საკუთრივ კონკრეტული სარგებლობაც მოაქვს. მაგალითად, გეოლოგების აწვდის ცოდნებს საკვლევი ფენების ასაკზე. მაგრამ, რაც მთავრია, წარსულის ცხოველების მესწავლა ხელს გვიწყობს გაეერკვეთ ევოლუციის კანონებში. ამ მხრივ კი სპილოები უნიკალური ცხოველები არიან, ისინი თითქოს უშუალოდ გვაძლევენ შესაძლებლობას თვალი გავადევნოთ ეოცხალ არსებათა სახეცვლილებას. მათ არ ჰყავდათ მტრები, ე. ი. მათთვის აუცილებელიც არ ყოფილა შეჰკუბეებოდნენ ანსებობისათვის ოდითგანვე წარმოებულ ბრძოლას. მათ სახეს უცვლიდა მხოლოდ დრო, პლანეტის ჰავის კატრიზები.

სპილოები გაჩნდნენ გამყინვარების პერიოდამდე ცოტა ხნით ადრე, როგორც სტეგოდონტების შთამომავალნი. ისინი შეეჩვიენენ უხეშ მცენარეულ საკვებს (ამას მეცნიერთათვის ცხადყოფს მათი კბილების აღნაგობა) და თითქმის მთელ პლანეტაზე გავრცელდნენ. მანძილი მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა, დღეში ასი კილომეტრის გადარბენა ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ საამისო განწყობილებას მათ მოგზაურობის ტრფიალი როდი უქმნიდა. ცხოველი დღეში 250-300 კილოგრამ საკვებს ნთქამდა და, ბუნებრივია, რომ ათასი სულისაგან შემდგარი ჯოგი გაუვალ ტყეებს სულ მცირე ხანში შიშველი ხეების სასაფლაოებად აქცევდა.

ახალმა პირობებმა სახე უცვალა სპილოების ოჯახს. გაჩნდნენ სხვადასხვა სახეობანი, როგორიც იყვნენ აფრიკული, ამერიკული სპილოები — „იმპერატორები“, ე. წ. „გრომოვის სპილო“, რომელიც პირველად ამ ოცდათი წლის წინათ ითვნეს როსტოვთან.

ვარაუდობენ, რომ ტროგონტერიული სპილო, რომელიც შემდეგ მამონტად „გარდაიქმნა“, სამხრეთული ხმელეთ შთამომავალი იყო. ეს ვეფოლუციის პარადოქსია. მამონტი გადაშენდა ათასობით წლის წინათ, მისი შორეული წინაპარი კი — აფრიკული სპილო — დღესაც მშვენივრად ვრცნობს თავს. ცოცხლობს როგორც ეოცხალი ნამარხი, როგორც დედამიწის წარსულის მოწმე.

რატომ გადაშენდა მამონტი? ეს საკითხი გაუთავებელი დავის წყაროდ იქცა. იქნებ ეს პირველყოფილი ადამიანის ბრალია? იქნებ მან მოსპო ბანჯგვლიანი გოლიათი? არქეოლოგებს ხომ ხშირად უნახავთ ამ ცხოველის ეშვისაგან ნაკეთები ნივთები. ამას წინათ უკრაინაში აღმოაჩინეს ნამარხი ქოხის ნაშთი, რომელიც აშენებული ყოფილა... მამონტის ათობით, ასობით ძვლისა და ეშვისაგან.

— ჩემი აზრით, საქმე სხვანაირად არის, — ამბობს ეკადემიკოსი ბ. ალექსანდროვი, — ისევ და ისევ დამნაშავეა ამინდის ჭირვეულობა. მამონტი დაიღუპა, როცა მყინვარებმა უკანდახევა იწყეს და ამის შედეგად მრავალი ჭაობი გაჩნდა. ამ დროს მოისპო როგორც ზოგიერთი სხვა მტაცებელი (რომლებზეც პირველყოფილი ადამიანი არ ნადირობდა), ისე მრავალი მსხვილი ბალახმჭამელი ცხოველიც.

ზედმიწევნით ზუსტად იმის დადგენა, თუ რატომ გაქრა მამონტი, საეჭვოა შესაძლებელი გახდეს. შეიძლება ამაში ბრალი მიუძღოდეს არა ერთ, არამედ რამდენიმე მიზეზს. მაგრამ ის აზრი, რომ გიგანტური ცხოველების ასეთი მრავალრიცხოვანი ჯგუფის მოსპობაში გადამწყვეტი როლი პირველყოფილ ადამიანს შეესრულებინოს, ეჭვიერობ, ნაკლებად დასაბუთებულია.

ᲒᲐᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘ

ᲧᲘᲜᲣᲚᲛᲬᲘᲤᲔᲚᲘ „ალექსანდრე სიბირიაკოვი“ 15 წელი ხერავდა ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს და ეკიპაჟთან ერთად მისი ლეგენდარული კაპიტანი ო. შმიდტი სახელოვანი ისტორიის წარუშლელ ფურცლებს ავსებდა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ყინულმჭრელის კაპიტანია ჩვენი თანამემამულე ანატოლი კაკარაგა. (ამჟამად სახელოვანი მეზღვაური საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსია).

1942 წელს ყინულმჭრელ „სიბირიაკოვს“ ჩრდილოეთის მიწის რაიონში უთანასწორო ბრძოლის გამართვა მოუხდა ფაშისტური გერმანიის კრეისერ „ადმირალ შეერთან“. „სიბირიაკოვის“ გმირული ეკიპაჟი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე თავდადებით ებრძოდა და დიდ ზარალს აყენებდა მოწინააღმდეგეს.

ახლახან ა. კაკარაგამ ჩრდილოეთის ფლოტის სარდლობისაგან მიიღო დეპეშა, რომლითაც მას იწვევენ „სიბირიაკოვის“ სხვა ვეტერანებთან ერთად ლეგენდარული ბრძოლის 25 წლისთავის აღსანიშნავად. („კომუნისტის“ საკ. კორ.).

ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ — ᲝᲡᲘ ᲛᲝᲛᲓᲚᲔᲠᲚᲔᲑᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ცხინვალის საქალაქო კულტურის სახლთან არსებულმა მუსიკალურ-დრამატულმა მხატვრულმა თვითმოქმედმა ანსამბლმა (დირექტორი ვ. ხეთაგაროვი, მხატვრული ხელმძღვანელი ბ. გასიევი) ბორჯომის რაიონის სოფლებში გვერდისუბანში, გუჯარეთში, ბაკურიანსა და სხვ. გამართა კონცერტები.

მაყურებელთა მოწონება ხვდა ანსამბლის მონაწილეებს, ცხინვალის ელექტრომეურნეობის მონტიორის ა. ქელეხსაევის, ქალაქის საშუალო სკოლის მოსწავლეების ც. ჯიკაევის, ა. ბეკოევის, ა. ჭიოევის, ე. გაბარაევას, ა. ფუხაევის, ა. ქოზაევის, მ. გიგოლაევის და ფ. ჯიოევის მიერ შესრულებულ სიმღერებსა და ცეკვებს. (ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ.).

ᲙᲐᲠᲐᲒᲚᲐᲜᲙᲐᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲘᲛ საერთაშორისო საბადრაკო ტურნირებიდან, რომლებიც ახლა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარეობს, პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ჰავანის ტრადიციული ტურნირი, რომელიც მიძღვნილია ცნობილი კუბელი მოჭადრაკის კარაბლანკას ხსოვნისადმი. ეს ასპარეზობა პირველ რიგში გამოირჩევა შემადგენლობათა სიძლიერით.

ტურნირზე უკვე გათამაშდა ექვსი ტური. თავდადგენ ლიდერობა ხელთ იგდო საბჭოთა გროსმაისტერმა ლ. პოლუგაევსკიმ. მეექვსე ტურში მას პაექრობა ჰქონდა ჩოლანდიელ ი. დონერთან, მაგრამ ეს პარტია არ დამთავრებულა. მეორე დღეს კი. შეზვედრა ყაიმით დამთავრდა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა დაამარცხა ფილელი მოჭადრაკე ხ. ვესტერინენი.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲗᲐ ᲙᲣᲗᲮᲔ

„ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ“ ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲛᲐ ექიმებმა შეძლეს სიცოცხლე დაეტრუნებინათ „გაყინული ადამიანისათვის“. ეს მოხდა არაჩვეულებრივ შემთხვევასთან დაკავშირებით ტოკიოში 19 აგვისტოს, ცხელი და სულისშემხუთავი იაპონური ზაფხულის ერთ-ერთ დღეს. ავტომანქანა-რეფრიჟერატორის შოფერი მასაარუ საიტო ქალაქ სიძუოკადან ტოკიოში ჩავიდა, რომ ნაყინის ტვირთი მიეღო. ავტომობილი გადაეკეთებინა ორას-კილომეტრიანმა გზამ და აუტანელმა სიცხემ მოქანცა მძღოლი. მან ავტომობილი გზის პირას, ნაყინის მწარმოებელ კომპანია „მეიძის“ შენობასთან გაიჩერა. გადაწყვეტა სიცხეს მორიდებოდა და ტვირთის მიღებამდე თავისი მანქანა—რეფრიჟერატორის ძარაში „დაესვენა“.

ამავე დღეს ასეთივე ტვირთის მისაღებად მოსულმა მძღოლებმა სწრაფად მიიღეს წინადღით შეკვეთილი ნაყინი და დაარიგეს კაფეებში, რესტორნებსა და მაღაზიებში. სამუშაო დღის ფაციფუცში მტვირთავებსა და კომპანია „მეიძის“ თანამშრომლებს ყურადღება არ მიუქცევიათ იმისათვის, რომ იმ დღეს არ მოსულა მხოლოდ ერთი შემკვეთი. მაგრამ შემდეგ ერთ-ერთმა თანამშრომელმა შეამჩნია უმძღოლოდ მდგომი ავტომანქანა-რეფრიჟერატორი. შოფერის ძებნა უშედეგო აღმოჩნდა. მაშინ მოითათბირეს, რეფრიჟერატორი გააღეს და იქ ამოვნეს შოფერი, მაგრამ უკვე „გაყინული“.

დანიელმა გროსმაისტერმა ბ. ლარსენმა მოუგო მ. ტაიმანოვს. ექვსი ტურის შემდეგ წინ არის ლ. პოლუგაევსკი რომელსაც 5 ქულა აქვს. ვ. სმისლოვსა და ბ. ლარსენს ოთხნახევარ-ოთხნახევარი ქულა აქვთ, მ. ფილიპსა (ჩეხოსლოვაკია) და გ. ბარცას (უნგრეთი) — ოთხ-ოთხი ქულა, მ. ტაიმანოვს, ა. ჰენინგსს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ი. ბედნარსკისა (პოლონეთი) და ა. ო' კელის (ბელგია) — სამ-სამი ქულა.

ᲙᲐᲛᲔᲑᲘ-ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ქ. ჰარლიში დაიწყო მსოფლიოს პირველობის გათამაშება საგზატკეცილო ველოსიპედში. პირველად შედგა გუნდური რბოლა ვაეთათვის. დისტანცია 96 კილომეტრი და 400 მეტრი იყო. სტარტზე გამოვიდა 25 გუნდი. მათ შორის იყო სსრ კავშირის ველოსიპედისტთა კოლექტივი.

წარმატებით გამოვიდა შვეიცის გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყო ოთხი ძმა. მათ აჩვენეს დრო — 2 საათი, 3 წუთი და 7 წამი, საშუალოდ საათში „ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ“ ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲛᲐ ექიმებმა შეძლეს სიცოცხლე დაეტრუნებინათ „გაყინული ადამიანისათვის“. ეს მოხდა არაჩვეულებრივ შემთხვევასთან დაკავშირებით ტოკიოში 19 აგვისტოს, ცხელი და სულისშემხუთავი იაპონური ზაფხულის ერთ-ერთ დღეს. ავტომანქანა-რეფრიჟერატორის შოფერი მასაარუ საიტო ქალაქ სიძუოკადან ტოკიოში ჩავიდა, რომ ნაყინის ტვირთი მიეღო. ავტომობილი გადაეკეთებინა ორას-კილომეტრიანმა გზამ და აუტანელმა სიცხემ მოქანცა მძღოლი. მან ავტომობილი გზის პირას, ნაყინის მწარმოებელ კომპანია „მეიძის“ შენობასთან გაიჩერა. გადაწყვეტა სიცხეს მორიდებოდა და ტვირთის მიღებამდე თავისი მანქანა—რეფრიჟერატორის ძარაში „დაესვენა“.

ამავე დღეს ასეთივე ტვირთის მისაღებად მოსულმა მძღოლებმა სწრაფად მიიღეს წინადღით შეკვეთილი ნაყინი და დაარიგეს კაფეებში, რესტორნებსა და მაღაზიებში. სამუშაო დღის ფაციფუცში მტვირთავებსა და კომპანია „მეიძის“ თანამშრომლებს ყურადღება არ მიუქცევიათ იმისათვის, რომ იმ დღეს არ მოსულა მხოლოდ ერთი შემკვეთი. მაგრამ შემდეგ ერთ-ერთმა თანამშრომელმა შეამჩნია უმძღოლოდ მდგომი ავტომანქანა-რეფრიჟერატორი. შოფერის ძებნა უშედეგო აღმოჩნდა. მაშინ მოითათბირეს, რეფრიჟერატორი გააღეს და იქ ამოვნეს შოფერი, მაგრამ უკვე „გაყინული“.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲛᲐ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲙᲘ...

ᲑᲣᲨᲘᲜ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე აკავშირო ჩემპიონატის მატჩი ჭკონდო ადგილობრივი „ლოკომოტივასა“ და გროზნოს „თერგს“ გუნდებს. ლოკომოტიველებს საკუთარმა გულშემტეხ ერთგულ ოფლ ... ...